დამტკიცებულია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 23 ივნისის N 8 ბრძანებით
ცვლილებები დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის N01/58 ბრძანებით

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების

გეგმა (2019-2025)

მარნეული 2019 წელი

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მისია

- განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა მიმართულების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას.
- იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე;

ხედვა

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ 2025 წლისათვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას, უნივერსალურ ადამიანურ უფლებებს და თავისუფლებას ყველასთვის განურჩევლად კაცის, ქალის, რასის, ფერის, რელიგიის და წარმომავლობისა.

მიზანი

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით, რაც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველი იქნება.

ღირებულებები

- საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დაცვა;
- პროფესიული ცოდნის გადაცემის უკომპრომისო ვალდებულება;
- მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას.
- აუდიტორიული/საკლასო განათლების კომბინაცია „რეალურ სამყაროს“ გამოცდილებასთან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით;
- ძლიერი კოლაბორაციული ურთიერთობები კერძო სექტორთან, მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ძლიერი მხარეები

- რადგანაც კოლეჯი ავტორიზაციის ეტაპზე იმყოფება, მნიშვნელოვანია ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებიდან გაზიარებული იქნას ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის, პერსონალის რეკრუტირების, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ორგანიზების, ადგილობრივი და საერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბების პროცესები.
- კოლეჯის დამფუძნებლებს გააჩნიათ ძლიერი და პირდაპირი კავშირები სამედიცინო საზოგადოებასთან და სამედიცინო დაწესებულებებთან.
- საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები პროფესიული განათლების განვითარების მიზნით;

სუსტი მხარეები

- დაწყებით ეტაპზე, კვალიფიციური პერსონალის რეკრუტირებისას კოლეჯი შესაძლოა გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს.

განვითარების შესაძლებლობები

- მარნეული არის ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ერთეული. ქვემო ქართლის მზარდი დემოგრაფია ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტების მოზიდვის ფაქტორს, რეგიონში პროფესიული განათლების მოთხოვნა საკმაოდ დიდია.
- ევროპული საგანმანათლებლო სივრცე საქართველოში ქმნის შესაძლებლობებს პროფესიული კოლეჯებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტებით.

რისკები

- კოლეჯებს შორის მზარდი კონკურენცია.

სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევი გზები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები,
მონიტორინგის მექანიზმები, შესრულების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები

სტრატეგიული მიზანი N1 **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება**					
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	გასახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები	მონიტორინგი/კონტროლი	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება	მუდმივად	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის კონტროლი; სასწავლო პროცესის კონტროლი სასწავლო გეგმების შესაბამისად.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** სტუდენტების გამოკითხვები; **მოსალოდნელი შედეგები:** ვითარდება საგანმანათლებლო პროგრამები და ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები
1.2. ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.	2022-2024	შრომის ბაზრის საჭიროებების დადგენა	დირექტორის მოადგილე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** შემუშავებული და ადაპტირებული პროგრამები **მოსალოდნელი შედეგები:** შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ავტორიზებული ახალი პროფესიული საგანმანათლო პროგრამები.
1.3. სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება, განხორციელება	2023-2024	სასერტიკიკატო პროგრამების ავტორიზაცია და განხორციელება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** შემუშავებული და

					განხორციელებული სასერტიფიკატო პროგრამები; **მოსალოდნელი შედეგები:** მზარდი მოთხოვნები მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე;
1.4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართვა, საგანმანათლებლო რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა)	მუდმივად	აქტიურ სტუდენტთა წახალისების მექანიზმების შემუშავება; შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა	დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** აპლიკანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები **მოსალოდნელი შედეგები:** თანამედროვე სასწავლო მეთოდები და სასწავლო გარემო, გაზრდილია ინტერესი კოლეჯისადმი.
სტრატეგიული მიზანი N2 **სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება**					
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	გასახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები	მონიტორინგი/კონტროლი	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება	მუდმივად	გარდა სტუდენტებისთვის მათი პროფესიული განვითარებისთვის მიცემული განათლებისა, ასევე სტუდენტების კლასის გარეთ მხარდაჭერა ახალი ინფრომაციითა და ახალი კავშირებით მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით	დირექტორის მოადგილე; პროგრამის ხელმძღვანელები; სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** სტუდენტური გამოკითხვები, საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი მასალები. **მოსალოდნელი შედეგები:** მზარდი მოთხოვნა კოლეჯისადმი აპლიკანტების მიერ

2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება	მუდმივად	სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება	დირექტორის მოადგილე;	დამფუძნებლები მონიტორინგის ჯგუფი	**შესრულების კრიტერიუმები:** ღონისძიებების ამსახველი მასალები **მოსალოდნელი შედეგები:** იზრდება საზოგადოებისა და სტუდენტების ნდობა კოლეჯისადმი.
სტრატეგიული მიზანი N3 **პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება**					
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	გასახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი სტრუქტურები	მონიტორინგი/კონტროლი	შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
3.1.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა	მუდმივად	პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა მათი წახალისების გზით.	დირექტორის მოადგილე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** წახალისების ამსახველი მასალა. **მოსალოდნელი შედეგები:** სრული ინტეგრაცია საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში. კოლეჯი აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.
3.2.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა	მუდმივად	ადმინისტრაციული პერსონალი ხელშეწყობა მათთვის პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფის გზით	დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** ტრენინგის მასალები და ტრენინგის მარდაჭერის მექანიზმები. **მოსალოდნელი შედეგები:** ადმინისტრაციული პერსონალის მაღალი სტანდარტები
სტრატეგიული მიზანი N4 **ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება**					
მიზნის მისაღწევი გზები	ვადები	გასახორციელებელი ქმედებები	განმახორციელებელი	მონიტორინგი/კონტროლი	შესრულების

			სტრუქტურები		კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები
4.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება.	მუდმივად	საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით.	დირექტორი მატერიალური რესურსების სამსახური სასწავლო პროცესების მართვის სამსახური	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** კოლეჯის წლიური ანგარიში, პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიშები; ფინანსური დოკუმენტაცია, ფაქტობრივი და ვიზუალური მდგომარეობა; **მოსალოდნელი შედეგები:** საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით. სასწავლო პროცესები მიმდინარეობს მაღალი სტანდარტით.
4.2. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურესების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა.	მუდმივად	პროფესიული უნარებისათვის აუცილებელი სასწავლო და მატერიალური რესურსების განახლება	დირექტორი; მატერიალური რესურსების სამსახური სასწავლო პროცესების მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელები ბიბლიოთეკარი	დამფუძნებლები	**შესრულების კრიტერიუმები:** განხორციელებული შესყიდვები, გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი **მოსალოდნელი შედეგები:** განვითარებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სასწავლო პროცესი